სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
დირექტორის 2026 წლის 05 ივნისის N 02-03/22 ბრძანების

N1 დანართი

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ტექნიკა და ტექნოლოგიების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში - ,,მაუწყებელი”) სტრუქტურული ერთეულის ტექნიკა და ტექნოლოგიების სამსახურის (შემდგომში - ,,სამსახური”) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, ფუნქციებს, მართვის წესს, სამუშაო პოზიციებსა და შესაბამის უფლება-მოვალეობებს.

1.2. სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის, მაუწყებლის დებულების, შინაგანაწესის, წინამდებარე დებულებისა და მაუწყებლის დირექტორის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.

1.3. სამსახურის მიზანია უზრუნველყოს მაუწყებლის ტექნიკური და საოპერაციო მდგრადობა, საინფორმაციო-ტექნოლოგიური, სამაუწყებლო, გადამცემი და ციფრული ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა და კიბერუსაფრთხოების სტანდარტების ეფექტური მართვა.

1.4. სამსახური ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის ამოცანები:

ა) მაუწყებლის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, სერვერული სისტემებისა და მონაცემთა საცავების გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
ბ) კიბერუსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის დანერგვა, ქსელური უსაფრთხოების მონიტორინგი და პოტენციური საფრთხეების პრევენცია;
გ) სტუდიური სამაუწყებლო ტექნიკური სისტემებისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურების (მსს) ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და განვითარების კოორდინაცია;
დ) სატელევიზიო და რადიო სიგნალის გავრცელების გადამცემი ინფრასტრუქტურის საიმედოობისა და უწყვეტი მუშაობის უზრუნველყოფა;

ე) მაუწყებლობის პროცესში ვიდეო და აუდიო სიგნალების მიღების, დამუშავების, ჩაწერისა და გავრცელების ტექნიკური მხარდაჭერა;
ვ) ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების, სისტემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაგეგმვა, დანერგვა და ინტეგრაცია;
ზ) მაუწყებლის თანამშრომლებისთვის მუდმივი ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა, ინციდენტების დროული მართვა და კომპიუტერული ტექნიკის გამართული მუშაობის კონტროლი;
თ) საინფორმაციო-ტექნიკური სისტემების პროფილაქტიკური, სარემონტო და განახლებითი სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება;
ი) ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოება, ტექნიკური პარამეტრების ანალიზი და რესურსების ოპტიმიზაცია მაუწყებლობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

3.1. სამსახური თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს:

ა) საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, მათ შორის სერვერების, ვირტუალური გარემოსა და ქსელური მოწყობილობების ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და ტექნიკურ მხარდაჭერას;
ბ) კიბერუსაფრთხოების სისტემების მართვას, უსაფრთხოების პროტოკოლების დანერგვას, ინციდენტების გამოვლენას, მათზე რეაგირებასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას;
გ) სტუდიური, სამაუწყებლო და მოძრავი სატელევიზიო სადგურების ტექნიკური აღჭურვილობის ექსპლუატაციას, რეგულარულ ტექნიკურ მომსახურებასა და გამართული მუშაობის უზრუნველყოფას;
დ) პირდაპირი ეთერებისა და გასვლითი გადაღებების დროს ტექნიკური სისტემების (ვიდეო/აუდიო სიგნალების მიღება, განაწილება, ჩაწერა) უწყვეტ მხარდაჭერას;
ე) სატელევიზიო და რადიო სიგნალის გადამცემი ობიექტების ექსპლუატაციას, ტექნიკური მდგომარეობის კონტროლს, პროფილაქტიკურ და სარემონტო სამუშაოების წარმოებას;
ვ) ახალი ტექნოლოგიური პროექტების, აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის პროცესში მონაწილეობასა და მათ ინტეგრაციას მაუწყებლის არსებულ სისტემებში;
ზ) მომხმარებელთა ტექნიკური მოთხოვნებისა და ინციდენტების მართვას, ტექნიკური ხარვეზების დიაგნოსტიკასა და მათ ოპერატიულ აღმოფხვრას;
თ) კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, კონფიგურაციასა და განახლებას;

ი) ტექნიკური ინფრასტრუქტურის მუშაობის პარამეტრების ანალიზს, რესურსების ოპტიმიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებას;
კ) მოქმედი კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

4.1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და მაუწყებლის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
4.2. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მოვალეობას ასრულებს სამსახურის ბლოკის უფროსი დირექტორის ბრძანების შესაბამისად.

4.2. სამსახურის შემადგენლობაში შექმნილია სამაუწყებლო ტექნოლოგიური მხარდაჭერის ბლოკი, რომელშიც ფუნქციონირებს:
ა) სტუდიებისა და მსს-ის ჯგუფი;
ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფი;
გ) გადამცემი სისტემის ჯგუფი.

მუხლი 5. სამსახურეობრივი ფუნქციები
5.1. სამსახურის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;
ბ) პასუხისმგებელია სამსახურისათვის დაკისრებული უფლება - მოვალეობების ჯეროვან შესრულებაზე;
გ) მონაწილეობს მაუწყებლის ტექნიკური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრაში და ამზადებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს;
დ) გეგმავს სამსახურის ბიუჯეტს, განსაზღვრავს ტექნიკური რესურსების საჭიროებას, მონაწილეობს შესყიდვების პროცესში და აკონტროლებს რესურსების მიზნობრივ გამოყენებას;
ე) მართავს და ზედამხედველობს ტექნოლოგიური პროექტების, სისტემების მოდერნიზაციისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვის პროცესებს;

ვ) უზრუნველყოფს კიბერუსაფრთხოების, ტექნიკური უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის სტანდარტების დანერგვასა და დაცვას;
ზ) კომუნიკაციას ამყარებს მაუწყებლის ხელმძღვანელობასთან, ამზადებს პერიოდულ ანგარიშებს სამსახურის საქმიანობის შესახებ და უზრუნველყოფს საოპერაციო პრობლემების გადაჭრას;
თ) ახორციელებს კოორდინაციას მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
ი) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მის წინაშე;
კ) მაუწყებლის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის მუშაობის სრულყოფის, შიდა პროცედურების ოპტიმიზაციისა და ადამიანური რესურსების განვითარების შესახებ;
ლ) იცავს და წარმოადგენს სამსახურის ინტერესებს მაუწყებლის ხელმძღვანელობასთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში;
მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.2. სამაუწყებლო ტექნოლოგიური მხარდაჭერის ბლოკის უფროსი:
ა) განსაზღვრავს ბლოკის განვითარების ტექნოლოგიურ პოლიტიკას, გეგმავს ინფრასტრუქტურულ მოდერნიზაციას და აკონტროლებს მის განხორციელებას;
ბ) უზრუნველყოფს სტუდიური, IT და გადამცემი ჯგუფების სინქრონულ მუშაობას, რათა გარანტირებული იყოს მაუწყებლობის უწყვეტი და მაღალი ხარისხის პროცესი;
გ) ახორციელებს ბლოკის ბიუჯეტის, ტექნიკური რესურსებისა და ადამიანური რესურსის ეფექტურ მართვას;
დ) აკონტროლებს ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოებას, კიბერუსაფრთხოების სტანდარტების დაცვას და სამუშაო პროცესების შესაბამისობას მაუწყებლობის კანონმდებლობასთან;
ე) აანალიზებს ბლოკის საქმიანობის შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ტექნიკური ხარვეზების პრევენციისა და სისტემური განახლების შესახებ და წარუდგენს მაუწყებლის ხელმძღვანელობას;
ვ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორისა და სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.3. სტუდიებისა და მსს-ის ჯგუფი:

ა) უზრუნველყოფს სტუდიური, სამაუწყებლო და მოძრავი სატელევიზიო სადგურის (მსს) ტექნიკური სისტემების გამართულ, უწყვეტ და უსაფრთხო ექსპლუატაციას;

ბ) ახორციელებს სტუდიური და გასვლითი გადაღებების, მათ შორის პირდაპირი ეთერების, სრულ ტექნიკურ უზრუნველყოფასა და კოორდინაციას;

გ) მართავს ვიდეო და აუდიო სიგნალების მიღების, დამუშავების, განაწილებისა და ჩანაწერების წარმოების პროცესებს;

დ)გეგმავს და ახორციელებს სამაუწყებლო ტექნიკური სისტემების პროფილაქტიკურ, სარემონტო და განახლებით სამუშაოებს;

ე) ახდენს ტექნიკური ხარვეზების დიაგნოსტიკას, აღმოფხვრას და უზრუნველყოფს ავარიულ სიტუაციებში სწრაფ რეაგირებას მაუწყებლობის შეუფერხებლობის მიზნით;

ვ) გეგმავს და ნერგავს ახალ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, სისტემებსა და აპარატურას სტუდიურ და გასვლით ინფრასტრუქტურაში;

ზ) ახორციელებს ჯგუფის თანამშრომელთა საქმიანობის კოორდინაციას, მართავს სამუშაო პროცესებს და ზედამხედველობას უწევს ტექნიკური პერსონალის საქმიანობას;

თ) აწარმოებს ტექნიკურ დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს სამაუწყებლო მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობის მუდმივ მონიტორინგს;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.3.1. სტუდიებისა და მსს-ის ჯგუფის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამაუწყებლო ტექნიკური სისტემების გამართულ ექსპლუატაციასა და მათ ტექნოლოგიურ განვითარებას.

ბ) კოორდინაციას უწევს სტუდიური და მსს ტექნიკური პერსონალის ყოველდღიურ საქმიანობას.

გ) მონაწილეობს ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დაგეგმვისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის პროცესებში.

დ) უზრუნველყოფს სტუდიური აღჭურვილობისა და საგარეო მაუწყებლობისთვის საჭირო ტექნიკური ბაზის ეფექტურ მართვას.
ე) ზედამხედველობს ტექნიკური სისტემების მოდერნიზაციასა და გაუმჯობესებას მაუწყებლობის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.
ვ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსისა და ბლოკის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.3.2.უფროსი სამაუწყებლო ინჟინერი:
ა) უზრუნველყოფს სტუდიური, სამაუწყებლო და მოძრავი სატელევიზიო სადგურის (მსს) ტექნიკური სისტემების გამართულ, უწყვეტ და უსაფრთხო ფუნქციონირებას;
ბ) ახორციელებს სტუდიური და გასვლითი გადაღებების ტექნიკური უზრუნ-ველყოფის კოორდინაციას;
გ) პასუხისმგებელია ვიდეოსიგნალების მიღების, განაწილებისა და ჩანაწერების წარმოების პროცესებზე;
დ) მონაწილეობს ტექნიკური სისტემების პროფილაქტიკურ, სარემონტო და განახ-ლებით სამუშაოებში.
ე) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.3.3.სამაუწყებლო ინჟინერი:
ა) უზრუნველყოფს სტუდიური, აუდიო-ვიდეო და სამაუწყებლო მოწყობილობების გამართულ მუშაობას;
ბ) ახორციელებს ტექნიკური ხარვეზების დიაგნოსტიკასა და მათ ოპერატიულ აღმოფხვრას;
გ) მონაწილეობს პირდაპირი ეთერებისა და გასვლითი გადაღებების ტექნიკურ უზრუნველყოფაში;

დ) პასუხისმგებელია ვიდეოსიგნალების მიღების, განაწილებისა და ჩანაწერების წარმოების პროცესებზე;
ე) მონაწილეობს ტექნიკური სისტემების პროფილაქტიკურ, სარემონტო და განახლებით სამუშაოებში;
ვ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.4.საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფი:
ა)უზრუნველყოფს მაუწყებლის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, მათ შორის სერვერული სისტემების, ქსელებისა და მონაცემთა საცავების გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირებას;
ბ) ახორციელებს კიბერუსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის დანერგვას, ქსელური ინფრასტრუქტურის მუდმივ მონიტორინგს, ინციდენტების გამოვლენასა და მათ პრევენციას;
გ) მართავს ვირტუალურ გარემოსა და სისტემურ სერვისებს, აწარმოებს სარეზერვო კოპირებას, მონაცემთა აღდგენასა და სისტემურ განახლებებს;
დ) ახორციელებს IT სერვისების ხარისხის კონტროლს, აკონტროლებს მომხმარებელთა ტექნიკური მოთხოვნებისა და ინციდენტების მართვის პროცესებს;
ე) უზრუნველყოფს თანამშრომელთა ტექნიკურ მხარდაჭერას, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, კონფიგურაციასა და ხარვეზების ოპერატიულ დიაგნოსტიკას;
ვ) მონაწილეობს მაუწყებლის ახალი ტექნოლოგიური სისტემების დაგეგმვაში, მათ დანერგვასა და არსებულ ინფრასტრუქტურასთან ინტეგრაციაში;
ზ) ახორციელებს IT რესურსების მართვას, მათ შორის ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებასა და სისტემური პარამეტრების ოპტიმიზაციას;
თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.4.1.საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის უფროსი:

ა)უზრუნველყოფს მაუწყებლის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, სერვერული სისტემების, ქსელური ინფრასტრუქტურის, კიბერუსაფრთხოებისა და IT სერვისების გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირებას;
ბ) მონაწილეობს მაუწყებლის IT სტრატეგიის დაგეგმვაში, ახალი ტექნოლოგიური სისტემების დანერგვასა და მათ ინტეგრაციაში;
გ) მართავს ჯგუფის საქმიანობას, ანაწილებს სამუშაო დავალებებს თანამშრომლებს შორის და ზედამხედველობას უწევს მათ შესრულებას;
დ) აკონტროლებს IT ინფრასტრუქტურის მუშაობის პარამეტრებს და ამზადებს წინადადებებს სისტემების მოდერნიზაციისა და ოპტიმიზაციის შესახებ;
ე) უზრუნველყოფს ჯგუფის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებასა და ანგარიშგებას;
ვ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსისა და ბლოკის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.4.2.საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების ადმინისტრატორი:

ა) უზრუნველყოფს მაუწყებლის საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, სერვერული სისტემების, მონაცემთა საცავების, ვირტუალური გარემოს, კორპორაციული სერვისებისა და საინფორმაციო სისტემების ადმინისტრირებას, გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირებას;
ბ) ადმინისტრირებას უწევს ფიზიკურ და ვირტუალურ სერვერებს, ოპერაციულ სისტემებსა და კორპორაციულ სერვისებს;
გ) უზრუნველყოფს მონაცემთა საცავების (Storage), სარეზერვო კოპირების (Backup) და მონაცემთა აღდგენის (Recovery) სისტემების გამართულ ფუნქციონირებას;
დ) ახორციელებს მომხმარებელთა ანგარიშების, უფლებებისა და წვდომების ადმინისტრირებას;
ე) უზრუნველყოფს Active Directory-ის, ფაილური სერვერების, დომენური სერვისების და სხვა საინფორმაციო სისტემების ადმინისტრირებას;
ვ) გეგმავს და ახორციელებს სისტემური პროგრამული უზრუნველყოფისა და სერვერული ინფრასტრუქტურის განახლებებს;

ზ) აკონტროლებს სერვერული ინფრასტრუქტურის წარმადობას, რესურსების გამოყენებასა და ხელმისაწვდომობას;
თ) მონაწილეობს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარების, მოდერნიზაციისა და ახალი სისტემების დანერგვის პროექტებში;
ი) უზრუნველყოფს სისტემური ინციდენტების გამოვლენას, დიაგნოსტიკასა და აღმოფხვრას;
კ) თანამშრომლობს ქსელისა და კიბერუსაფრთხოების ადმინისტრატორთან ინფრასტრუქტურის უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;
ლ) თანამშრომლობს სამაუწყებლო ტექნოლოგიური მხარდაჭერის ბლოკის სხვა ჯგუფებთან ტექნოლოგიური სისტემების ინტეგრაციისა და მხარდაჭერის მიზნით;
მ) უზრუნველყოფს ადმინისტრირებადი სისტემების ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებასა და განახლებას;
ნ) ამზადებს ანგარიშებს ადმინისტრირებადი სისტემების მდგომარეობის, ინციდენტებისა და განხორციელებული სამუშაოების შესახებ.
ო) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.4.3.მომხმარებელთა ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი:
ა)უზრუნველყოფს მაუწყებლის თანამშრომელთა ტექნიკურ მხარდაჭერას;
ბ)ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციასა და კონფიგურაციას;
გ)მონაწილეობს ტექნიკური ხარვეზების დიაგნოსტიკასა და მათ ოპერატიულ აღმოფხვრაში;
დ)აწარმოებს ტექნიკური ინვენტარიზაციისა და მომხმარებელთა მოთხოვნების აღრიცხვას;
ე) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ვ)ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.4.4. ქსელისა და კიბერუსაფრთხოების ადმინისტრატორი:

ა) უზრუნველყოფს მაუწყებლის ქსელური ინფრასტრუქტურის, ქსელური უსაფრთხოების სისტემების, ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმებისა და კიბერუსაფრთხოების ღონისძიებების ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და განვითარებას;

ბ) უზრუნველყოფს ლოკალური და გლობალური კომპიუტერული ქსელების (LAN/WAN) ადმინისტრირებასა და გამართულ ფუნქციონირებას;

გ) ახორციელებს ქსელური მოწყობილობების (სვიჩები, მარშრუტიზატორები, უსადენო ქსელის მოწყობილობები და სხვა) კონფიგურაციასა და მართვას;

დ) უზრუნველყოფს ქსელური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის, წარმადობისა და უსაფრთხოების მონიტორინგს;

ე) ადმინისტრირებას უწევს Firewall-ის, VPN-ის, ქსელური წვდომის კონტროლისა და უსაფრთხოების სხვა სისტემებს;

ვ) ახორციელებს ქსელური და კიბერუსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენას, ანალიზსა და პრევენციულ ღონისძიებებს;

ზ)უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკების, პროცედურებისა და სტანდარტების შესრულების კონტროლს;

თ) მონაწილეობს მომხმარებელთა წვდომების, ავტორიზაციისა და ქსელური რესურსების მართვის პროცესში;

ი) ახორციელებს ქსელური და უსაფრთხოების სისტემების კონფიგურაციის, განახლებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებას;

კ) მონაწილეობს IT ინფრასტრუქტურის განვითარების, მოდერნიზაციისა და კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტებში;

ლ) თანამშრომლობს სისტემების ადმინისტრატორთან ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის უსაფრთხო და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

მ) ამზადებს ანგარიშებს ქსელური ინფრასტრუქტურისა და კიბერუსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ.

ნ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;

ო)ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.4.5. ტექნიკური მხარდაჭერის მენეჯერი:

ა) უზრუნველყოფს მაუწყებლის თანამშრომლებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების, ტექნიკური მხარდაჭერის პროცესების, კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართული ფუნქციონირების ორგანიზებას, კოორდინაციასა და კონტროლს;

ბ) ორგანიზებას უწევს და კოორდინაციას უწევს მომხმარებელთა ტექნიკური მხარდაჭერის პროცესს;

გ) უზრუნველყოფს თანამშრომელთა ტექნიკურ მოთხოვნებზე, ინციდენტებსა და ხარვეზებზე დროულ რეაგირებას;

დ) აკონტროლებს კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობების, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფისა და სამუშაო სადგურების გამართულ ფუნქციონირებას;

ე) კოორდინაციას უწევს მომხმარებელთა ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტების საქმიანობას და ანაწილებს სამუშაო დავალებებს;

ვ) უზრუნველყოფს ტექნიკური ინციდენტებისა და მოთხოვნების აღრიცხვას, მონიტორინგსა და ანალიზს;

ზ) მონაწილეობს ახალი ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის, ინსტალაციისა და კონფიგურაციის პროცესში;

თ) უზრუნველყოფს IT მომსახურების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების მონიტორინგს;

ი) მონაწილეობს IT აქტივების აღრიცხვის, ინვენტარიზაციისა და ლიცენზიების მართვის პროცესში;

კ) ამზადებს ანგარიშებს ტექნიკური მხარდაჭერის პროცესების, ინციდენტებისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ;

ლ) შეიმუშავებს და ანახლებს მომხმარებელთა ტექნიკური მხარდაჭერის პროცედურებს, ინსტრუქციებსა და სახელმძღვანელოებს.

მ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.5. გადამცემი სისტემების ჯგუფი:

ა) უზრუნველყოფს სატელევიზიო და რადიო სიგნალის გავრცელების ინფრასტრუქტურის, გადამცემი სისტემებისა და ანძების გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირებას.

ბ) აკონტროლებს ელექტრომომარაგების, უწყვეტი კვების (UPS) სისტემებისა და სარეზერვო ელექტროენერგიის წყაროების (გენერატორების) მუშაობას.

გ) ახორციელებს სისტემების ტექნიკურ მომსახურებას, პროფილაქტიკურ და სარემონტო სამუშაოებს.

დ) გეგმავს საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

ე) რეაგირებს ავარიულ სიტუაციებზე და ახდენს წარმოშობილი დაზიანებების ოპერატიულ აღმოფხვრას.

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.5.1. გადამცემი სისტემების ჯგუფის უფროსი:

ა)ხელმძღვანელობს გადამცემი სისტემების ჯგუფის საქმიანობას, ანაწილებს დავალებებს და ზედამხედველობას უწევს მათ შესრულებას;

ბ)უზრუნველყოფს სატელევიზიო და რადიო სიგნალის გავრცელების ინფრასტრუქტურის, გადამცემი სისტემებისა და შესაბამისი ტექნიკური ობიექტების საიმედო და უწყვეტ ფუნქციონირებას;

გ)გეგმავს და ორგანიზებას უწევს მოწყობილობების პროფილაქტიკურ და სარემონტო სამუშაოებს, აკონტროლებს მათი შესრულების ხარისხსა და ვადებს;

დ)ახორციელებს გადამცემი ქსელის ტექნიკური მდგომარეობის ანალიზს და მაუწყებლის ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და ოპტიმიზაციის შესახებ;

ე)უზრუნველყოფს ავარიული სიტუაციების მართვას და კრიტიკულ შემთხვევებში გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებას მაუწყებლობის შეუფერხებლობის მიზნით;

ვ)აწარმოებს ჯგუფის საქმიანობის ანგარიშგებას და უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებას;

ზ)ხელმძღვანელობს გადამცემი სისტემებისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის პროცესს;

თ)ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსისა და ბლოკის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ი)ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.5.2. გადამცემი სისტემების სპეციალისტი:
ა) უზრუნველყოფს გადამცემი სისტემების უწყვეტ მონიტორინგსა და ადმინისტრირებას;
ბ) ახორციელებს გადამცემი მოწყობილობების ტექნიკური პარამეტრების კონტროლს, ანალიზსა და აღრიცხვას;
გ) მონაწილეობს გადამცემი ქსელის განვითარების, ოპტიმიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესებში;
დ) ახორციელებს ტექნიკური ხარვეზების პირველად დიაგნოსტიკას და მონაწილეობს მათ აღმოფხვრაში;
ე) ასრულებს გადამცემი სისტემების ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ მიმდინარე ტექნიკურ დავალებებს;
ვ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.5.3. სპეციალისტი:
ა) ახორციელებს გადამცემი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სამუშაოებს;
ბ) მონაწილეობს გადამცემი ობიექტების პროფილაქტიკურ და სარემონტო ღონის-ძიებებში;
გ) უზრუნველყოფს გადამცემ ობიექტებზე ტექნიკური მდგომარეობის მუდმივ მონიტორინგს;
დ) ახორციელებს გადამცემი მოწყობილობების პირველად ტექნიკურ გასინჯვასა და ექსპლუატაციის სტანდარტების დაცვას;

ე) ასრულებს ჯგუფის ხელმძღვანელისა და ზემდგომი სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ სხვა ტექნიკურ დავალებებს;
ვ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.5.4. უფროსი ინჟინერ-ტექნიკოსი:
ა) უზრუნველყოფს გადამცემი სისტემების, ელექტრომომარაგების და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მონიტორინგის, ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების ორგანიზებასა და კოორდინაციას.
ბ) ორგანიზებას უწევს ელექტრომომარაგების სისტემების, UPS-ების, გენერატორებისა და დამხმარე ენერგეტიკული მოწყობილობების მონიტორინგს.
გ) გეგმავს პროფილაქტიკურ, სარემონტო და აღდგენით სამუშაოებს.
დ) აკონტროლებს სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობასა და ხარისხს.
ე) კოორდინაციას უწევს ინჟინერ-ტექნიკოსების საქმიანობას მათი ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად.
ვ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5.5.5. ინჟინერ- ტექნიკოსი:
ა) უზრუნველყოფს გადამცემი სისტემების, ელექტრომომარაგების და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ტექნიკურ მომსახურებას, მონიტორინგს, პროფილაქტიკურ და სარემონტო სამუშაოების შესრულებას.
ბ) ახორციელებს გადამცემი სისტემების, UPS-ების, გენერატორების, ელექტროგამანაწილებელი მოწყობილობებისა და სხვა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მუდმივ მონიტორინგს.

გ) ატარებს პროფილაქტიკურ დაგეგმილ სამუშაოებს მოწყობილობების გამართული მუშაობის შესანარჩუნებლად.
დ) ასრულებს საგანგებო და სარემონტო სამუშაოებს დაზიანებების ოპერატიული აღმოფხვრის მიზნით.
ე) აცნობებს უშუალო ხელმძღვანელს სისტემებში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზებისა და საჭირო რესურსების შესახებ.
ვ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის, სამსახურის უფროსის, ბლოკის უფროსისა და ჯგუფის უფროსის ცალკეულ დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მაუწყებლის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. სამუშაო დისციპლინა და პასუხისმგებლობა

6.1. სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას მაუწყებლის დებულებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის შრომის უსაფრთხოების ნორმები.
6.2. წინამდებარე დებულების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას მოქმედი შრომის კანონმდებლობის, მაუწყებლის შინაგანაწესითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. სამსახურის საქმიანობის სპეციფიკისა და მაუწყებლის საჭიროებებიდან გამომდინარე, სამსახურში მუდმივი ან არამუდმივი ხასიათის ამოცანათა შესასრულებლად, შესაძლებელია სხვა პოზიციების შექმნა და პირთა დასაქმება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობითა და მაუწყებლის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
7.2.სამსახურის უწყვეტი და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვ.), მისი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას უზრუნველყოფს მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.
7.3.წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.
7.4.წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.